

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 16

ქ.ვანი თავისუფლების N65

21 ნოემბერი 2018 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

**საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:** გელა ჩიკვაძე, თამთა დვალიშვილი, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა მაგნიძე.

**მოწვეული პირები:** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ივანე მამფორია.  
სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი.

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე .

## დღის წესრიგი

1. „,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ“.

მომხს: /ივანე მამფორია/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოხმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის მიმართ კომისიის წევრების მხრიდან იყო მოსაზრებები და შენიშვნები. ძირითადი ყურადღება გამახვილდა სარაგბო კლუბ ვანის აიეტი-ის მიმართ, რომლისთვისაც გამოყოფილი არის 135 000 ლარი, ეს თანხა არის მინიმალური მათ საჭიროებისათვის, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი მათი წარმატებები და წინსვლა. ასეთი სახელოვანი გუნდი, რომ შევინარჩუნოთ საჭირო არის 170 000 ლარი მაინც.

ასევე თავისი მოსაზრება დააფიქსირა ბატონმა დავით ხარძეიშვილმა ყველა ა(ა)იპ სამსახურის მიმართ, მან აღნიშნა, რომ უნდა მოვიწვიოთ ყველა ა(ა)იპ სამსახურის ხელმძღვანელები და მოვისმინოთ მათი სამსახურის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ. ბატონ დავითს დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი 2/

**დაადგინეს;**

წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით და მოსაზრებებით მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე